დასკვნა:**დ08.37210971**
თარიღი:**07/04/2021**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომისიის

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომისიის ქონების მართვის კომისიამ 2021 წლის 7 აპრილს კომისის სხდომაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1). ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.05.39.313, 20.0 კვ.მ.), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.25.13.338, 2372.0 კვ.მ.), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.01.83.342, 20.0 კვ.მ.) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.01.73.186, 2051.0 კვ.მ.) სარგებლობაში, უსასყიდლოთ, უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, შპს. ,,სატისი“-სთვის (ს/ნ 437066201) გადაცემისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

2). ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ოზურგეთში მერაბ კოსტავას ქუჩა N1-ში (26.26.42.003.01/508) მდებარე 46,2 კვ. ფართის სარგებლობაში, უსასყიდლოთ, უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატასთვის გადაცემისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

3). ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

კომისიამ დაადგინა 1-ი და მე-2 საკითხები გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით. ხოლო მე-3 საკითხი პროექტის

ავტორის წინადადებით მოხსნილი იქნას განხილვიდან და დამატებითი დოკუმენტაციების წარმოდგენის შემდეგ გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე.

გოჩა კილაძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი